# სახალხო გაზეთი

№ 270 შაბათი, 2 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 270

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ჩამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ელისაბედ დიმიტრის ასული გედევანიშვილისა,

რისაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე სოლომონ დავითის ძე და შვილები: ნინო, მარიამი, დავითი, დიმიტრი სოლომონის ასულნი და ძენი გედევანიშვილები. პანაშვიდები ყოველ-დღე საღ. 7 ს. გამოსვენება სამშაბათს, 5 აპრილს, დილის 9 საათზე ბინიდან, კოჩუბეის ქ., სახ. № 4, კუკიის წმ. ნიკოლოზ. ეკლესიაში. დაკრძალვა მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის გალავანში. (2—1212—1)

ნინო სოლომონის ასული და სამსონ პლატონის ძე დადიანები გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი—დედისა და მეორე—სიდედრის, დაუვიწყარის

ელისაბედ დიმიტრის ასულის გედევანიშვილის

გარდაცვალებას. (2—1212—1)

ნინო დიმიტრის ასული ბერელაშვილისა, სოფიო დიმიტრის ასული ფორაქიშვილისა და ზაქარია დიმიტრის ძე ჩიქოვანი გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის დის

ელისაბედ დიმიტრის ასულის გედევანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე 7 ს. გამოსვენება სამშაბათს, 5 აპრილს, დილის 9 ს. ბინიდან, კოჩუბეის ქ., სახ. № 4, კუკიის წმ. ნიკოლოზ. ეკლესიაში, დაკრძალვა მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის გალავანში. (2—1213—1)

ელისაბედ დავითის ასული და რევაზ ავთანდილის ძე კვეზერელი-კოპაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის რძლის

ელისაბედ დიმიტრის ასულის გედევანიშვილისას.

(2—1212—1)

სტატსკი სოვეტნიკი ანთიმოზ ბესარიონის ძე გიორგაძე და მეუღლე მისი თეკლა ბესარიონის ასული შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 აპრილს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათ დაუვიწყარ ასულის

მარიამის

სულის მოსახსენებლად. (1—1209—1)

ელისაბედ, ანნა, ეფიმე, პეტრე და ეკა ჯიბლაძენი და გ. დადიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის—შვილი, მეორის—მეუღლე, დანარჩენთა—ძმა

ონისიმე მიხეილის ძე ჯიბლაძე

დასაფლავება სამშაბათს, 5 აპრილს, ს. ამაღლებაში. (1211 1—1)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჩაის თესლისა

ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჩაის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—21)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

[illegible] ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორიო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაშ. ი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

თრემბიცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხოხოლევსკი ფ. მ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუნდაძე ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-Hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 60 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემდეგ. საფასურით. (წ.—1089—488)

გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა პირველი წიგნი:

„ეროვნულ პრობლემის გარშემო“.

ხელის-მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს. გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ. საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა“-ს („Новая Рѣчь“) წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. ქუთაისში: მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (3—5)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ახალი საქმე“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ნათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

არტისტიულ საზოგადოების თეატრი

შაბათს, 2 აპრილს,

გაიმართება

გასამართლება

არციბაშევის გმირებისა.

ბრალმდებლად გამოვა კ. ა. კოზლოვი. დამცველად—ა. ი. მალხაზოვი. სასამართლოს თავმჯდომარედ—ნაფიცი ვექილი მ. ა. კლანკი. ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები მუდამ დღე იყიდება. მოსწავლეებსა და მცირე-წლოვანთ არ შეუშვებენ. ნაფიცი მსაჯულნი და სასამართლოს წევრნი პროგრამებში იქნებიან ჩამოთვლილნი. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ. (2—1208—2)

განცხადება

ბაზმაროს მომხმარებელთა საზოგადოება „ჯანმრთელობის“ გამგეობა ამით აცხადებს საყურადღებოდ მსურველთათვის, რომ 14-ს აპრილს, ამა 1911 წლისა, დილით 12 საათზე, ქალაქ ოზურგეთში, ექლთა კანტორაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ამა 1911 წლის სეზონისათვის აგარაკ ბაზმაროში «ჯანმრთელობის» სავაჭრო საგნები: 1) სამიკიტნო დუქანი პარმენ ასათიანის და ნაცვალაძისაგან შეძენილი. 2) საყასბო დუქანი. 3) საბაყალო დუქანი 4) პურის საცხობი ფურნე პატარა სახლით. 5) სადილო სახლი (რესტორანი). 6) კეკლებანი და 7) გაგიჟვარის ქუჩაზე საბაყალო დუქნით ვაჭრობის ნება. პირობები ამათ შესახებ მსურველებს შეუძლიან გაიცნონ ქალაქ ოზურგეთში, ექლთა კანტორაში, ყოველ დღე 8 აპრილიდან ამა წლისა.

თავმჯდ. გამგეობისა დ. ცეცხლაძე. (3—1205—2)

იბეჭდება და ამ მოკლე დროში გამოვა

კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების გამოცემა

„ფუტკარი და მეფუტკრეობა“.

აპ. წულაძის მიერ შედგენილი. წიგნი დაჯილდოვებულია ოქროს მედლით. მიიღება დასაბეჭდათ მხოლოდ სამეურნეო ხასიათის განცხადება. წიგნის დაკვეთა და განცხადებების შეკვეთა შეიძლება კავკაზ. მეფუტკ. საზ. თავმჯდომარის სახელზე (ტფილისი, ბაქოს ქუჩა № 6, თავ. პლატონ მიხ. ლორთქიფანიძესთან). წიგნის ფასი ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—1204—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—16)

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ფ. მ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით.

(წ.—1090—29)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

სამკურნალო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—76)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ქუჩა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—87)

ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ჰატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ გვარი ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შეხვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—36)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლ. ეგ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—30)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (ლ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ლ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—38

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეის ქუჩების კუთხე N 24. 0—344

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—180—105

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოხკოვის ქ. N 4, სახლი ბაბაშვილისა. (ლ)


## ტფილისი, 2 აპრილი

**საკანონმდებლო ორგანოთა შეკითხვა და მემარჯვენეთა კრება.** პრესა, პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის პასუხის მოლოდინში, ყოველის მხრით არჩევს იმ შეკითხვებს, რომელნიც სახელმწიფო საბჭომ და სათათბირომ შეიტანეს. ოპოზიციონურ პრესის აზრი დაახლოვებით ისეთივეა, რანაირიც საკანონმდებლო დაწესებულებათა ოპოზიციისა: ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ სტოლიპინმა უკანონობა ჩაიდინა 87 მუხლის ძალით საბჭოს მიერ უარყოფილ კანონ-პროექტის დამტკიცებით. სულ სხვანაირ კილოზე სწერენ მემარჯვენე გაზეთები, განსაკუთრებით ოფიციოზური „როსსია“ და „ნოვ. ვრემია“. ამ უკანასკნელთათვის განსაკუთრებით იმან შეჰქმნა ცუდი გარემოება, რომ შეკითხვა საბჭომაც შეიტანა. საბჭო ხომ, როგორც ზედა პალატა, მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ სათათბიროს რადიკალურ მისწრაფებებს ფრთები შეაკვეცოს. დღეს კი ამ არსებითად კონსერვატულმა დაწესებულებამ კონსტიტუციისთვის გამოიდო თავი. მართალია საბჭოს წევრთა საკმაოდ დიდს რიცხვს უპირველესად ყოვლისა მხოლოდ პირადი შეურაცყოფილ თავ-მოყვარეობა ამოძრავებდა, მაგრამ შედეგი მაინც ერთი და იგივე გამოვიდა: შეკითხვა მიიღო.

და აი, ეს გარემოება სრულიად საკმარისი გახდა, რომ „ნოვოე ვრემია“-ს საბჭოს „დარბაისელი“ წევრებიც კი მიტინგის ორატორებად გამოეცხადებინა. მან, რა თქმა უნდა, ვერ არავითარი აზრი ვერ დაინახა საბჭოს წევრთა სიტყვებში; ყოფილი მინისტრები, ჩინოსანი ხალხი „ნოვოე ვრემია“-ს კადეტებად მოეჩვენა. „ეს სიტყვები ყურადღების ღირსიც არ არისო“, ამბობს „ნოვოე ვრემია“, მაგრამ მაინც მრავალჯერ უბრუნდება საბჭოს შეკითხვას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოს შეკითხვა ყოვლად უსაფუძვლოა. „ნოვოე ვრემია“-მ და „როსსი“-ამ საკითხი გადაატრიალეს, 87 მუხლს ის მნიშვნელობა არ მისცეს, რომელიც მას ნამდვილადა აქვს და მერე თვით შეკითხვაც უსაფუძვლოდ აღიარეს. უსაფუძვლობა, თურმე, იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, ხელმწიფის მიერ უკვე მოწონებულ კანონ-პროექტზე თქმა, რომ ის უკანონოდაა გამოცემულიო, უსაფუძვლოა, მეორეც 87 მუხლი ნებას აძლევს მთავრობას აუცილებელი საჭიროების დროს კანონ-პროექტი დაამტკიცოსო. პირველ მუხლის თაობაზე პროგრესიული პრესა სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს უმაღლესად მოწონებული კანონ-პროექტიც საბოლოოდ მაინც საკანონმდებლო ორგანოს უნდა გადაეცეს განსახილველად, და ამიტომ შესაძლებელიც ხდება მისი დაწუნებაო. მეორე მუხლი კი ცხადი შეუსაბამობაა, რადგანაც კანონ-პროექტის 87 მუხლის ძალით დამტკიცებას არავითარი აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვდაო.

ამას გარდა, მემარჯვენე პრესას ისე არ წარმოუდგენია 87 მუხლის შინაარსი, როგორც საჭიროა. 87 მუხლით სარგებლობა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც საკანონმდებლო დაწესებულებანი არ მუშაობენ; მინისტრმა კი სათათბირო და საბჭო დაითხოვა, შეჰქმნა ხელოვნური პირობები კანონ-პროექტის 87 მუხლის ძალით დასამტკიცებლად. ოპოზიციაც ამაში ხედავს უკანონობას.

მემარჯვენე პრესა ძალიან კარგად ჰხედავს, რომ ის იერიში, რომელიც საბჭომ მიიტანა სტოლიპინზე, ჩვეულებრივი მოვლენა არ არის. ძალიან კარგად ჰხედავს ამას, და თუ მაინც სწერს, იმას მხოლოდ იმიტომა სჩადის, რომ ნიადაგი მოუმზადოს სტოლიპინის გამოსვლას...

## ქართული პრესა

„ბათომის მოამბე“-სა და ჩვენს შორის გამართულ კამათის გამო „ახალი საქმე“ სწერს:

„ბათუმის მოამბემ“ რამდენიმეთ სწორი პოზიცია დაიჭირა ამ საკითხში; თავის უკანასკნელ წერილში გაზეთმა მრავალი სადი შეხედულება გამოსთქვა, მაგრამ მან ბოლომდე ვერ ჩაატარა თავის შეხედულების მთლიანობა და გზა-გზა რამდენიმე შეუსაბამო აზრი მიატანა“.

ეს შეუსაბამო აზრი კი, გაზეთის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ

დაიწყო იმით, რომ კლასთა ბრძოლა სარჩულათ დაუდვა თავის წერილს და დააბოლავა შემდეგით: „რას ქვიან დათმობა? ან იყვეს ქართველი საქართველოში, ან სრულიათ ნუ იქნებაო და სხვ.

გასაოცარი არ არის, თუ „საღ“ აზროვნებას დაინახავს „ახალი საქმე“ ყველგან, სადაც კი „ნაციონალისტების“ ლანძღვასა და „კლასთა ბრძოლას“ დაინახავს. ეს სიტყვები, და მხოლოდ სიტყვები, იმდენად მომაჯადოებელია „ახალ საქმისთვის“, რომ იგი თავის მფარველობის ქვეშ მიიღებს ყველას, ვინც კი თუთიყუშივით ამ სიტყვებს იმეორებს. რანაირ „საღ“ აზროვნების პატრონიც ბრძანდება „ბათომის მოამბე“, ეს ჩვენმა მკითხველმა უკვე კარგად იცის.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი გოლიცინსკი თავმჯდომარეობს.

ებრაელ ექსტერნების შემხლდ ველ წესდების სწრაფ-განხილვის საკითხს იხილავენ.

როდიჩევი სწრაფ-განხილვის მომხრეა. კანონ-შეუწონლობა დამტკიცებულად მიაჩნია და აცხადებს,— მთავრობის პოლიტიკა ხალხის განათლების საქმეს კი არ ამაგრებს, ანგრევსო.

ნიკოლსკი სწრაფ-განხილვის მომხრეა და აცხადებს: სათათბირომ უნდა გამოარკვიოს ასეთ თვითნებობის ნამდვილი ხასიათი და გადასწყვიტოს, რითი შეიძლება მათი ახსნა: სახალხო განათლების სამინისტროს სისასტიკით, თუ იმით, რომ განათლების სამინისტრო სხვათა ხელში სათამაშო ნივთად გადიქცა.

დურნე აღნიშნავს იურიდიულ მასალათა სირთულეს, საკითხის დაუყოვნებლივ გარჩევის სიძნელეს და სწრაფ-განხილვის წინააღმდეგია; საკითხი უწყებულ ვიდაზე განსახილ-

ვულად მიაჩნია და წინადადებას იძლევა საკითხი კომისიას გარდაეცეს, რომელიც 19 აპრილს მოხსენებას წარმოადგენს.

კენჭის ყრით შეკითხვა არც სწრაფ განსახილველად და არც ვადაზე განსახილველად არ იცნეს და კომისიას გადასცეს.

სათემო ერობის სამმართველოზე კამათი გრძელდება.

მე-71 მუხლი, რომელიც სათემო თანამდებობის პირთა არჩევას ეხება, უკამათოდ მიიღეს.

**ნაციონალისტებს** ამ მუხლში დამატება შეაქვთ: იმ თემში, სადაც რუსობა სჭარბობს, მამასახლისსა და სამმართველოს ერთ წევრს რუსთაგანს ირჩევდნენ.

**ზაგიშა.** არსებულ საერობო დებულებაში ასეთი შეზღუდვა არ არის და გამოუცნობელია, ვინ, ან როგორ უნდა განმარტოს შემეცნება „რუსი“, ამისთვის ასეთ დამატების წინააღმდეგია (ოპოზიცია ტაშს უკრავს).

**ჩიხაჩევი.** არსებულ დებულებას კი არ უნდა ვემყარებოდეთ, არამედ იმ მოსაზრებას, რომ მომავალ თემის შემადგენლობაში ახალი უფრო კულტურული ელემენტებიც შევა, ვიდრე გლეხობაა; ერობის რუსულ ხასიათის შესარჩევად ეს დამატება მიზან-შეწონილია... ტერმინი „რუსი“ არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგანაც დასავლეთ მხარეს სრულიად განსაზღვრული ადმინისტრატიული პრაქტიკა სწარმოებს, ვინ უნდა ჩასთვალონ რუსად.

**შინგარევი.** ჩიხაჩევს ურჩევს, ადმინისტრატიული პრაქტიკა თავისთვის შეინახოს და შიდა გუბერნიებში ნუ გადააქვს: საქმე რუსეთის ეროვნების დაცვას კი არ ეხება, არამედ გაბატონებულ ეროვნების იმ დამახინჯებულ პრინციპის შეგნებას, რომელიც ერობის აზრს ძირ-ფესვიანად ანგრევს.

**მომხსენებელი გლებოვი** მეორე შესწორების წინააღმდეგია.

**ტიჩინინი.** არსებობს უმაღლესი კანონმდებლობა—ცხოვრება, რომელიც შეზღუდვის განხილვას თხოულობს, რადგანაც სხვა სჯულის ხალხი რუსის მართლ-მადიდებელ ხალხს მტრულად ეკიდება.

**მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი** მთავრობის მხრივ სავსებით ემხრობა დამატებას (მემარჯვენენი და ნაციონალისტები ტაშს უკრავენ).

**ნიკოლენკო** თავის თანამოაზრე გლეხთა სახელით რუსეთის ეროვნულ ინტერესთა დაცვას მოითხოვს.

**უგაროვი.** ამ დამატებას მხოლოდ დასავლეთ მხრის წარმომადგენელნი ემხრობიან, რუსეთის ძირითადი მკვიდრნი კი რუსეთის შიდა გუბერნიების წარმომადგენელნი არიან. სათათბირო ამ კანონს დასავლეთ მხრისათვის კი არა შიდა გუბერნიებისათვის სწერს, რომელსაც დასავლეთის წარმომადგენელნი არც კი იცნობენ (მარცხნივ ტაშის ცემა).

**კრუპენსკი, მაკსუდოვი.** ჭაიდაროვი და ჩხეიძე დამატების წინააღმდეგნი არიან.

**კოვალენკო მეორე, ტიჩინინი და ტიმოშკინი**—დამატებას ემხრობიან.

კენჭის ყრით ეს დამატება უარჰყვეს.

კომისიის რედაქციით მე-72—80 მუხლებს ღებულობენ. მე-81 მუხლის განმარტებით სამართველოს თავმჯდომარე და წევრები ფიცს ღებულობენ; კადეტებს წინადადება შეაქვთ, ვინც ფიცს არ მიიღებს, იმან აღთქმა დასდოს.

**მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი** ამის წინააღმდეგია.

**შინგარევი** წინადადების მომხრეა და აღნიშნავს, სათათბიროს წევრნიც აღთქმასა სდებენ ხოლმე.

**ტიმოშკინი.** გლეხკაცობა მოწიწებით ეკიდება ფიცის მიღებას.

**ბერეზოვსკი მეორე.** სათათბიროს წევრნი რომ ფიცს ღებულობდნენ, აღთქმის დამრღვევნიც აღარ გვეყოლებოდა. ამ მუხლს კადეტების შესწორებით ღებულობენ. სათემო ერობაზე კამათი სწყდება.

**გერცენვიცი და სავიჩი** შემთანხმებელ კომისიის მოხსენებას კითხულობენ ხარჯთ-გაწერვის სათათბიროსა და საბჭოს შუა მომხდარ შეუთანხმებლობის თაობაზე.

სათათბირო და საბჭო შეთანხმებულან, და ერთხმად მიუღიათ პროექტი, ეს პირველი შემთხვევაა.

ხარჯთ-აღრიცხვის კომისიის წინადადება კენჭის ყრით მიიღეს.

სათემო ერობის შემომღებ კანონ-პროექტს უბრუნდებიან.

მე-82—83 მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ, მე-84 მუხლი სათემო სამმართველოს უფლება-მოვალეობას ეხება.

**კრუპენსკი** შრომის ჯგუფის შესწორებას იცავს, რათა სამმართველოს ანგარიშები ხარჯთ-ამკრებს ჩააბარონ, ხოლო სათემო სამმართველოს დაევალოს კანონების უმაღლეს ბრძანებათა და მთავრობის განკარგულებათა გამოცხადებას ფართე გზა მისცეს.

ამ მუხლს ნაციონალისტების შესწორებით ღებულობენ, რომ სათემო ერობის თანამდებობის პირთ სამაზრო საკრებულოს კრება ამტკიცებდეს.

**როძიანკო თავმჯდომარეობს.**

მე-85 მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ. მე-91 მუხლი განმარტავს, რომ სამმართველოს თავმჯდომარესა და წევრთ მათის თხოვნის თანახმად ანთავისუფლებენ, ხოლო თუ მათ თანამდებობაზე დარჩენის უფლება დაჰკარგეს, სამაზრო საკრებულოს კრების მიერ თხოვნის მიუცემლადაც დაითხოვებიან.

ეს მუხლიც კომისიის რედაქციით მიიღეს.

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

# სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 მარტი.

**გოლუბევი თავმჯდომარეობს.** განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას იხილავენ, რომელიც მიწად-მოწყობის კანონ-პროექტს შეეხება.

**მომხსენებელი სტიშინსკი** ამბობს, რომ ეს პროექტი იმ საკანონმდებლო ტრილოგიის მეორე აქტია, რომელიც 1906 წ. 9 აპრილს გამოცემულ ბრძანებით დაიწყო. მომხსენებელმა სთქვა, რომ პროექტს, გლეხთა მიერ მიწის-მფლობელობის ნაკლულევანებათა ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს. შემდეგ განაცხადა, სათათბიროსაგან მიღებულ პროექტში კომისიამ ორი არსებითი ცვლილება შეიტანა. ერთი მამულთა დაყოფის საქმეს ეხება, მეორე—ორს—სამაზროსა და საგუბერნიო ინსტანციას აწეხებს. ეს ინსტანციები მიწათა დაყოფის საქმეს არსებითად განიხილავენ. ამ ინსტანციათა დადგენილების განსაჩივრება სენატში შეიძლება. მომხსენებელს იმედი აქვს, პროექტი რუსეთის მიწად-მოქმედებას ხელს შეუწყობს და ფართე გზას მისცემს, რომ მსოფლიო ბაზარზე რუსეთის სოფლის ნაწარმოებმა ღირსეული ადგილი დაიჭიროს.

მეორე, **მომხსენებელი ლეონტოვიჩი** აცხადებს: კომისია წინადადებას იძლევა, 1832 წ. 25 ივნისის კანონი გაუქმდეს. ამ კანონის ძალით მალორუსიულ ყაზახებს ნება არა აქვთ თავის უძრავ ქონებას თავის სურვილისამებრ მოექცნენ. ამ კანონმა თავისი დრო მოიჭამა და მხოლოდ რაღაც გაუგებრობით არსებობს. საჭიროა ყაზახებისათვის საერთო კანონი მოქმედებდეს.

**მიწად-მომწყობი მთავარ-მართებელი.** პროექტის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს და ციფრებით ამტკიცებს, თუ როგორ მიეგება ხალხი მთავრობის მიერ ამ მხრით შემოღებულ ახალ საშუალებებს. 5 მილიონ დესეტინაზე მეტი უკვე დაიყო და ხალხმა მიიღო. როცა მიწად-მოწყობის დებულება გამოიცემა, მაშინ ეს საქმე უფრო გაიზრდება. ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის საჭიროა, რომ ასეთი ხელსაყრელი წუთები, როგორც ეხლა, რუსეთში უყურადღებოდ არ იყოს დატოვებული და მიწის საქმე რიგიანად მოეწყოს. დასავლეთ სახელმწიფოებმა ამ გზით იარეს და ჯერარავის არ უნანია.

**კოვალევსკი** კანონ-პროექტს სიხარულით უხვდება და აღნიშნავს, რომ ამასთან ერთად, საჭიროა გლეხთა განათლებას, მეტადრე აგრონომიულს, ხელი შეეწყოს.

**ენგელგარდტი** იმ მუხლზე შეჩერდა, რომელიც მოსაჭერ მიწებს კერძო საკუთრებათა სთვლის. მისი აზრით, ეს მუხლი სამიწო ფონდს ჯვარს აცვამს და სოფლის პროლეტარიატის განვითარებას ხელს უწყობს. ენგელგარდტი ამბობს, რომ ამ მუხლის კომისიის რედაქციით მიღება შეუძლებელია. მიიღონ ან ისე, როგორც მთავრობამ წარმოადგინა, ან ისე, როგორც თითონ იტყვის.

საერთო კამათი დასრულდა. კრების შეწყვეტამდის ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც საყოველთაო განათლების და სავაჭრო დროის კანონ-პროექტი უნდა განიხილოს.

კრების განახლების შემდეგ მიწად-მოწყობის კანონ პროექტის 98 მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს. განხილვას ხვალ განაგრძობენ.

# საფრანგეთის მეღვინეთა ამბოხება

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

ფრანგული ღვინო განთქმულია. მეტადრე ყველასათვის ცნობილია შამპანიური ღვინო, რომელსაც რუსეთში, ბაქების მეოხებით, დიდი ფასი აქვს და, რომელსაც მთელი ქვეყანა სვამს. შამპანი საფრანგეთის ერთი ოლქია. იგი ვენახებითა და ღვინის ქარხნებითაა სავსე. ამ ოლქის მეღვინეებს ყველაზე დიდი შემოსავალი აქვთ. სხვა ოლქები, სადაც ღვინოები კეთდება, ამისთანა მოგებას ვერ იღებენ. შამპანის ესეთი მდგომარეობა სხვა ოლქების მეღვინეებს შეშურდათ და მთავრობას მოსთხოვეს: ჩვენი ოლქიც შამპანის ოლქს შეუერთეთო; რა არის, ჩვენ ბოთლებს შამპანის იარლიკი ეკვრება და ჩვენ ღვინოსაც გასავალი ექნებაო. მთავრობამ ამაზე უარი უთხრა მეღვინეთ, რადგან ეს სიყალბე იქნებოდა. გაბრაზებულმა მეღვინეებმა გაფიცვა გამოაცხადეს; მთავრობა არ შეშინდა და გაფიცულებმა უწესოება დაიწყეს. რასაც აქამდის სჩადიოდნენ, ამას დეპეშები გვატყობინებდნენ. ეხლა მათი მოძრაობა ძალიან გაიზარდა. აი რა ამბები მოგვიტანეს დეპეშებმა:

**აი.** ყუმბარა ააფეთქეს, ჯარისკაცი დაიჭრა. ერთი ცხენი მოკვდა.

**ეპერნე.** დილით მეღვინეებმა ღვინის სარდაფები აიკლეს. ცეცხლწაკიდებული სახლები ჩაიწვა. ქუჩებში ღვინის რუები მოდის. ჯარმა სანგრები დაანგრია.

**რეიმსი.** მეღვინეებმა სოფელ ენტელში სანგრებიააშენეს. ტელეგრაფი აღარ მუშაობს. მეღვინეები ჯარს ესროდნენ, მაგრამ ჯარმა სოფელი სისხლის დაუღვრელად აიღო.

**ეპერნე.** 29 მარტს ქალაქი აი საშინელი სანახავი იყო. ბევრი სახლი იწოდა, ღვინო რუებად მოდიოდა, ქუჩებში ბევრი მთვრალი დაძრწის. ხელში მოტაცებული შამპანიური ღვინო უჭირავთ. ქუჩებსა და ხიდებზე ჯარი სდგას. ბრბოსა და ჯარს შეტაკება მოსდიოდათ. მხედრებმა რამდენიმე კაცი დასჭრეს. ღამის პირველ საათზე ჯარმა აიდარ არეულობის მომქმედნი გარეკა. ახალი ჯარი მოვიდა, სულ 12.000 კაცი.

# ახალი ამბები

ტფილისი

◆ 30 მარტს ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე ფარნაოზ გეგელიასი, ანტონ ბასილაიასი, მიტროფანე პანავასი და ტერენტი დგებუაძისა, რომელთაც პრინც მიურატის სახლზე **თავდასხმა** ბრალდებოდათ. სასამართლომ ბრალდებულთ კატორღა გადაუწყვიტა: პირველს—6 წლით, დანარჩენთ ოთხ-ოთხის წლით.

◆ 3 აპრილს სამკურნალო საზოგადოება თავის შენობაში **საბავშვო კითხვას გამართავს**. წაიკითხავს ქ-ნი ავალიანი შემდეგს თემაზე: „თავმოყვარე გოლიათი“. დასაწყისი დილის 11 საათზე.

◆ დღეს „მოდერნ“-ის თეატრში ნ. პ. პოლუშკინი **ლექციას** წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „შავი ჭირი, როგორც მსოფლიო უბედურება“. ლექცია საღამოს 8 საათზე დაიწყება.

◆ ხვალ, 3 აპრილს, **დასავლეთ საქართველოში მკაცრის ზამთრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ**, ნამესტნიკის სასახლეში ბ-ნ ელცოვის ლოტბარობით სასულიერო კონცერტი გაიმართება; კონცერტი იმართება საქართველოს ექსარხოსის თაოსნობით.

◆ დღეიდან ტფილისში დაიწყება **ჯარის საცდელი სროლა**, რომელიც 30 აპრილამდე გასტანს.

◆ ფინანსთა სამინისტრომ შესაძლებლად სცნო, ნება დაერთოს ბარბარე მაღალაშვილისას, ნაწილ-ნაწილად სამის წლის განმავლობაში გადაიხადოს გორის მაზრის სოფელ ხურვალეთთან მდებარე მამულზე **დარჩენილი გადასახადი** 400 მან.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება** აპრილის ბოლო რიცხვებში მოხდება. კრებამ უნდა

# მიწის იჯარა საქართველოში

რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მრავალ-ფეროვანია და სხვა და სხვა სოციალურ და ეკონომიურ კვანძებიდან შესდგება — ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც მტკიცებაც არ სჭირია. მაგრამ ამ მრავალისაგან მრავალ, ათასნაირად გადახლართულ-დაბანდულ კვანძებს საზოგადოებრივ ცხოვრებისას, ჩვენი უძლური და განუვითარებელი საზოგადოება ნაკლებად იცნობს; კიდევ უფრო ნაკლებად იცნობენ ჩვენი ცხოვრების იმ კვანძებს, რომელთაც, ეკონომისტების ენით—ეკონომიკა—ეწოდება და რომელსაც საქართველოს ცხოვრებაშიაც დიდი და გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს...

ამ სამწუხარო გარემოების მიზეზი პირველ ყოვლისა თვით ჩვენა ვართ. ჩვენი ცხოვრების რთული და სრულიად გაურკვეველი კითხვები, კითხვები ეკონომიური—ერთიანად გადაფურჩქნებული და ყრუდ რჩება მიგდებული. ერთი შეხედვით ახირებულად გვეჩვენება ხსენებული გარემოება. მხარეში, სადაც უძლიერეს და გავლენიან საზოგადოებრივ ჯგუფად აღიარებულია ის, რომელიც მთელ ცხოვრების ქვა-კუთხედად უმთავრესად ეკონომიას აღიარებს,—აი ასეთ მხარეში თითქმის ყოველ მოვლენებზე უფრო ნაკლებად განხილული და შესწავლული სწორედ ეს საძირკველია. რა არის ამის მიზეზი? ჩვენი ცხოვრების რთულ კითხვების გაურკვევლობა უმთავრესად ჩვენი ინტელექტუალურ ძალების უძლურებაში და მოუმზადებლობაში უნდა ვეძიოთ.

დიახ, ამ საზოგადოებრივ უძლურებით უნდა აიხსნას ის ფრიად საგულისხმიერო გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხარე მეტის-მეტად საჭიროებს და მოითხოვს თავის სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრების გარკვევას, ჩვენს თანამედროვე მწერლობაში ასეთ მკვლევართა რიცხვი ძალიან ცოტაა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს ეკონომიური ცხოვრება — დღეს სრულად გადაუმუშავებელი — გახდეს ჩვენი მწერლობის უმთავრეს ყურადღების საგნად, რომ ეს საზოგადოებრივი კითხვები იპყრობდეს ხალხის ფართე ნაწილის ყურადღებას და ჩვენი მწერალნი, კორესპონდენტები და სხ. განსაკუთრებულ ყურადღებით ეკიდებოდენ სოციალურ და ეკონომიურ კითხვა-მოვლენათა გაშუქებას.

ამ ჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ფრიად საგულისხმიერო, ფრიად გავრცელებული წესი გლეხკაცობის მიწად-სარგებლობისა—იჯარა. თამამად შეიძლება ითქვას და დამტკიცდეს ის დებულება, რომ იჯარის კითხვას არც ერთ ქვეყანაში—რომლის საზოგადოებრივ ცხოვრების უმთავრეს საძირკველს სოფელი და სოფლის მეურნეობა შეადგენს—ისე დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის კულტურა ინტენსიურადაა განვითარებული და სოფლის მეურნეობას სამრეწველო და სავაჭრო ხასიათი მიუღია, როგორც მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში[1]), ბრაზილიაში, არგენტინაში, რუსეთში და სხ. მართალია მიწის იჯარა ფრიად არის გავრცელებული, მაგრამ მიწის იჯარის შინაარსი და რამდენადმე გამომწვევი პირობები იქ, იმ ქვეყნებში, სხვაა, მინამ საქართველოში. ამერიკელი, ან ინგლისელი თუ ბელგიელი მოიჯარადრე - იგივე ფერმერი—ხშირად ისეთი შეძლებული და მდიდარი კაცია, რომლის მიზანს შეადგენს მიწის ნიადაგის გაფაქნით დაიკმაყოფილოს არა თუ თავისი ოჯახის კერძო და სხ. მოთხოვნილებანი, არამედ მიწაზე გაანვითაროს უმაღლესი გონივრული მეურნეობის წესი, ბუნების წიაღს გამოსწოვოს თავისი ტკბილი წვენი, დაიყენოს მუშა ძალის ხალხი და მათი საშუალებით შეჰქმნას ისეთი ნაწარმოები, მიწის ნაყოფი, რომელიც უცხო და სამრეწველო ქვეყნებში გატანით მის ნივთიერ ავლადიდებას გაათკეცებს, გაზრდის, ე. ი. მიწის იჯარას უფრო კაპიტალისტური, სამრეწველო ხასიათი აქვს მიღებული. საქართველოში კი მიწის იჯარას ასეთი კაპიტალისტური ხასიათი არ ჰქონდა მიღებული თვით იმ ხანებში, როდესაც ის წარმოიშვა და განვითარდა, იჯარას სამრეწველო ხასიათი უმთავრესად არ აქვს მიღებული დღესაც, როცა მიწის იჯარის წესით სარგებლობა საქართველოს ყოველ კუთხეში ფრიად არის გავრცელებული და თითქმის ქვა-კუთხედსაც შეადგენს სოფლის ცხოვრებისას.

1880—1890 წ.წ., როდესაც რუსეთის უმაღლეს მთავრობის მესვეურობით საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების გამოკვლევას შეუდგნენ ჩვენი და რუსეთის ოფიციალური მკვლევარნი, ისინი იძულებული გახდნენ თავიანთ კვლევა-ძიების საგნად აგრეთვე მიწის იჯარის კითხვაც გაეხადათ, რადგან მათ ყოველ ნაბიჯზე უხვდებოდათ მიწის იჯარასთან საქმე. სრულიად და ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ამისათვის, რომ გამოკვლევებში მიწის იჯარაზე გამოთქმულია აზრები და შეხედულებანი, რომელნიც ხშირად ფრიად საინტერესო და საგულისხმიეროა[2]).

მიწის იჯარით გაცემის გავრცელებას საქართველოში საფუძვლად უდევს მწარმოებელ ძალების უმიწაწყლობა. რამდენადაც გაალმასებული იყო საზოგადოებრივ ძალებს შორის წინააღმდეგობა, რამდენადაც შეუწყნარებელი ნივთიერი სივიწროვე გლეხ-კაცობასა და რამდენადაც მეტი თავისუფალი მიწა ჰქონდა შეძლებულ თავად-აზნაურობას, იმდენად ადვილად და ძალიან უნდა გავრცელებულიყო ჩვენში მიწის იჯარით გაცემის წესი...

ჩვენ ვიცით, რომ მთელ მე-19 საუკუნის სივრცეზე გლეხ-კაცობა უმიწა-წყლოდ დარჩა. ბატონ-ყმობის შემდეგ გლეხ-კაცობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, როგორც უკვე ვსთქვით სხვა ადგილას. გლეხ-კაცობის უდიდესი ნაწილი იძულებული იყო მებატონე-მემამულეთათვის მიემართა მიწის საქირავებლად მით უფრო, რომ საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრება, ვაჭრობა—აღებ-მიცემობა და მრეწველობა სათანადოდ განვითარებული არ იყო, რომ სამრეწველო ადგილებში მწარმოებელ ძალებს თავი ამოეყოთ და თავისი სამუშაო ძალის გაქირავებით მრავალნაირი მოთხოვნილება-მოვალეობანი დაეკმაყოფილებინათ.

ამ ნიადაგზე გლეხ-კაცობის დამოკიდებულება მემამულეებზე აუცილებლობას შეადგენდა. ერთიანად ყმურ მდგომარეობაში ჩაყენებით გამოიხატება ეს დამოკიდებულება, თუ მიწის მძიმე პირობებით ქირაობა—იჯარით, ფაქტია, რომ გლეხ-კაცობა ერთიანად ჩავარდა მემამულეების უღელ-ქვეშ, მხოლოდ ახალ პირობებით არა უმჯობესს ძველ ბატონ-ყმურ პირობებთან შედარებით. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს მემამულეებთან იმ დამოკიდებულების აღნუსხვა, რომელიც გლეხ-კაცობის მიწის იჯარაში მარხია. როგორც ხედავთ, ჩვენ მიწის იჯარის წესის წარმოშობას საქართველოში უმთავრესად გლეხკაცობის მიწის სივიწროვითა ვხსნით, როგორც ხსნიან მე 80-90 წ.წ. მკვლევარნი, მაგრამ მიწის იჯარას მარტო შევიწროვებულ და ღარიბ გლეხ-კაცობის შორის როდი აქვს ალაგი, არამედ იჯარას ვხედავთ თვით შეძლებულ გლეხებ შორისაც. ასე, ბ. ეგიაზაროვი, თავის ფრიად საინტერესო გამოკვლევაში აღნუსხავს, რომ ბ.ბ. მარკოვისა და პარვიცკის სამართლიან შენიშვნების თანახმად, მიწას იჯარით იღებენ არა თუ მარტო მცირე ნადელებიანი სახელმწიფო გლეხები, არამედ ისინიც, რომელთა განკარგულებაში თავისუფალი სამუშაო ძალაა და აგრეთვე საქონლის მომშენებელნი, რომელთაც არ გააჩნიათ თავის ჯოგისათვის საძოვარი მინდვრები“[1]). როგორც ხედავთ, იჯარას გლეხ-კაცობის სხვა და სხვა ქონებისა და შეძლების ნაწილები მიმართავენ, როგორც ფრიად მოხდენილად ამბობს თავის გამოკვლევაში ბატონი მარკოვი[2]): „ღარიბნი თავისთვის, მდიდრები—გასასყიდად“, მაგრამ ასეთი გარემოება საქართველოში მიწის იჯარის მთელ სისტემა-წესში შემთხვევითი მოვლენებია, რომელსაც არაჩვეულებრივი და შემთხვევითი გარემოებები წარმოშობენ ხოლმე.[3]) ამ შემთხვევას თვით ბ. ეგიაზაროვიც აღნიშნავს თავის გამოკვლევაში. ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ ეგიაზაროვის გამოკვლევაში ავტორი განაგრძობს: „მაგრამ ყოველივე ეს, (მიწის იჯარის წესით აღება შეძლებულ გლეხობის მიერ) სათითაო შემთხვევებია, განსაკუთრებული მოვლენაა: მოიჯარადრების უმთავრესი კონტინგენტი მაინც მცირე მიწაწყლიან გლეხებიდან შესდგება“[4]).

ბ.ბ. მარკოვი, ეგიაზაროვი, არღუთინსკი, ბახტაძე-ხონელი და სხ.,—ყველანი იჯარის წარმოშობას უმთავრესად გლეხ-კაცობის მიწად-მფლობელობის და მიწად-სარგებლობის სივიწროვითა ხსნიან. მართლაც რომ მეტის მეტად შევიწროვდა გლეხ-კაცობის ნივთიერი ცხოვრება მე-60 წლებიდან, რასაც ჩვენ საგანგებო დაწერილ წერილებში უკვე შევეხეთ[5]), აქ მხოლოდ ის-და უნდა აღვნიშნოთ, რომ იჯარას თითქმის ყოველ სოფლებში და მიდამოებში აქვს ალაგი. ბ. მარკოვი, რომელმაც ამ მხრივ შეისწავლა ქუთაისის გუბერნიის, ქუთა-

[1]) უნდა აღვნიშნოთ, რომ შტატების სამეფოში სოფლის მეურნეობა უმთავრესად ექსტენსიურად სწარმოებს.

[2]) მიწის იჯარის წარმოშობის და მდგომარეობის გამორკვევას, ჩვენ მოვანდომებთ საგანგებო წერილს, აქ დავინახავთ, თუ რამდენადაც ეს წესი მიწათ-სარგებლობისა გავრცელებულია საქართველოში.

[1]) იხ. Егiазаровъ, „Арендное владѣнiе“. ნაწ. „Сводъ матерiаловъ по изученiи экономическаго быта государственныхъ крестьянъ Закав. Края“ ტომი I, გვ. 53.

[2]) იხ. Марковъ „Отношенiе обществъ къ землямъ частнаго владѣнiя“ გვ. 234 ნაწ. „Матерiалы для изученiя...“ ტომი I.

[3]) თუმცა ეს შემთხვევა საქართველოს ცხოვრების შემდეგი განვითარებით თან და თან გაძლიერდა და გამტკიცდა, მაგრამ ამაზე სხვა და სხ.

[4]) Егiазаровъ, Арендное владѣнiе, იქვე.

[5]) ჩვენი წერილები საქართველოს გლეხ კაცობის მიწადმფლობელობის შესახებ, იხ. „სახალხო გაზეთი“ №№ 234, 240, 258, 259.

აირჩიოს საზოგადოების საბჭოს მეოთხე წევრი.

✦ ამას წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რათა ნება მისცემოდა საზღვარგარეთიდან უბაჟოდ შემოეტანა სეტყვასთან **საბრძოლველი ზარბაზნები**. საბაჟო გადასახადთა დეპარტამენტმა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

✦ **როგორც გორიდან იწერებიან**, გორში მტკვარს საშინლად მოუმატნია, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც ლიახვი მტკვარს ერთვის; მოსალოდნელია წყალდიდობა.

✦ გორის მაზრაში გაგზავნილ იქმნა აგრონომი ა. ი. სააკოვი საძოვარ ბალახის სალცელად დასათესად. ბალახს დასთესავს რეხასა, ქარელსა და ახალქალაქში.

✦ კვირას, 3 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული **წლიური კრება სახალხო კითხვათა საზოგადოებისა**. არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო **მოკლე ანგარიში** იმისი, თუ როგორს მდგომარეობაშია მიგდებულ ბავშვთა შენახვის საქმე ოლგას საბებიო ინსტიტუტში. ანგარიშიდან სჩანს, საბებიო ინსტიტუტს ასეთი მოვალეობა უკისრნია 1874 წლიდან. ამ წლიდან 1911 წლამდე ინსტიტუტში მიუყვანიათ სულ 3193 ბავშვი, აქედან 1380 მამრობითი სქესისა და 1813-დედრობითი სქესისა. 1901 წლიდან 1911 წლამდე უშვილობებიათ 293 ბავშვი, გარეშე პირთ გასაზრდელად წაუყვანიათ —141, გამზრდელთათვის მიუციათ —151. ბავშვთა სიკვდილი საერთოდ 20% უდრის.

✦ 31 მარტს **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ გამგეობის კრება არ ყოფილა. მორიგი კრება დანიშნულია მომავალ ხუთშაბათისთვის.

✦ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს არტისტიულ თეატრში შესდგება **გასამართლება არციბაშევის ყველა გმირებისა**. ბრალმდებელად გამოდის კ. მ. კაზლოვი, იცავს ა. ი. მალხაზოვი. სასამართლოს თავმჯდომარედ იქნება ნაფიცი ვექილი მ. ა. კლანკი. სასამართლოს წევრები: გ. ა. მახარაძე, ვექილი დ. ზ. გულულოვი, ვ. ე. დუბროვინი; ნაფიცი-მსაჯულნი: პოეტი აკაკი წერეთელი, ს. დ. ქანტურიშვილი რ. ნ. კაზბეგი; ა. მ. შირვანზადე, ქ-ნი ა. მ. დოლუხანოვისა, ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ა. ბ. ევანგულოვი, ქ-ნი ფ. ს. ვარდანიანი, გ. ფ. ტერ-გასპარიანცი, ქ-ნი ნ. ი. ნაკაშიძისა, ი. ს. დვორიკოვსკი, ლ. ე. სარკისოვი, ლ. დ. ლეონიდოვი, გ. ვ. სობოლევსკი და ლ. ა. ტერ-მინასოვი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. მოწაფეთ დასწრების ნება არა აქვთ.

✦ განზრახულია, **ნავთგი-შემახის რკინის გზის გამოკვლევას** მიმდინარე წელს შეუდგნენ. მომავალ წელს გამოიკვლევენ საგირილენქორან-ასტარის გზას, ხოლო 1913 წელს—სიღნაღ-ზაქათალა-ევლახისას.

✦ რედაქციამ მიიღო **ჟურნალ „ნაკადულის“** მორიგი ნომრები: მოზრდილთათვის № (3) და მცირეწლოვანთათვის (№ 6).

✦ გუშინ, 1 აპრილს, ტფ. ოლქის სასამართლოს უნდა გაერჩია **„ნოვაია რეჩ“-ის რედაქტორ** პ. ა. გოთუას საქმე. მას ცილისწამებას სდებდა ბრალად დიდუბის მთავარდიაკონი სლადკოპევცოვი, გაზეთში დაბეჭდილ წერილის გამო, რომელშიაც აღნიშნული იყო, სლადკოპევცოვი დიდუბის ერთ-ერთ დუქანში ქეიფობდა, სადაც მეარღნემ გალახაო. სასამართლოში რედაქტორის მოწმები გამოცხადდნენ. არ გამოცხადდა მხოლოდ თვით მომჩივარი სლადკოპევცოვი, რის გამოც სასამართლომ საქმე სრულიად მოსპო.

✦ 31 მარტს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ტფილისში შეიპყრეს 41 უპასპორტო.

**ქუთაისი**

✦ **ი. ა. გაბილაიას** სენაკის და ქუთაისის მაზრებში, მათ შორის სამტრედიასა, ახალ-სენაკში და აბაშაში, კოოპერაციების შესახებ ლექციების კითხვა განუზრახავს. ამის გამო

**მოვაგონებთ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან, ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, გაზეთის გზავნა ესპობათ.**

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების უფროსს მოწერილობა დაუგზავნია ორსა და ერთ კლასიან სკოლების ზედამხედველებისთვის, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეთ და სკოლის შენობაც დაუთმეთო.

✦ ბესარიონ გაბილაიას 28 მარტს ნათესავ გუგუშვილთან ყოფნისას ამოუღია რევოლვერი და სინჯვა დაუწყია, **რევოლვერი** გავარდნილა და **გულში მოხვედრია**. მეორე დღეს გარდაცვლილა. („К. Ж.“)

✦ არა ეშველა რა ს. თოფურიას ძეგლის დამთავრებას. ერთხანს ეგონათ, რომ ძეგლი იქნებაო, მაგრამ აღმოჩენილა, რომ ბურჯი არ შეეფერება განსვენებულის ბიუსტს და ბ-ნი ნიკოლაძის რჩევით შესაფერი ცვლილება მოახდინეს. მის მერე კარგა ხანმა განვლო და ძეგლის დამთავრებას კი არა ეშველა-რა (კოლხიდა).

✦ ქართველ მეფეთა და თავადებისაგან პალესტინასა და ოსმალეთის სხვა პროვინციებში 32 მონასტრამდეა დაარსებული. დღეს ეს მონასტრები სულ ბერძნების ხელშია და დიდი ხანია დავაა ატეხილი ბერძნების და ქართველების სასულიერო წოდების შორის. ამ ჟამად ქართველ სამღვდელოებას ამ საქმის თაობაზე ერთხელ კიდევ აღუძრავს შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე (კოლხიდა).

✦ ქალაქის საბჭოს განკარგულებით, ჯამაგირის მიღების დროს უპირატესობა ეძლევა იმ მოსამსახურეებს, რომელნიც საბჭოს შენობის კედლებს შიგნით მუშაობენ; მხოლოდ ამათ აქვთ ნება მიიღონ ჯამაგირი ყოველი თვის ოცი რიცხვიდან.

✦ ამ დღეებში **წვრილ კრედიტის** საგუბერნიო კომიტეტის კრება მოხდება, რომელზედაც, სხვათა შორის, აღძრულ იქმნება საკითხი წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირის დაარსების თაობაზე.

## ჟურნალისტის დღიური

15.

**დავიწყებული ვალდებულობა.**

ქართველები გრძნობებითა სცხოვრობენ. წუთიერი აღფრთოვანება მთელი საქართველოს მოედება ხოლმე, ისმის მაღალ-მაღალი სიტყვები, დაპირებანი დაპირებას მოსდევს, მაგრამ, დროთა მიმდინარეობით, ეს აღფრთოვანება ნელდება, დაპირება დავიწყებას ეძლევა და ჩვენს ცხოვრებაშიაც სიჩუმე, სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. მოულოდნელმა, ტრაგიკულმა სიკვდილმა ილია ჭავჭავაძისამ მთელი საქართველო ფეხზე დააყენა. ყოველს კუთხეში გაიმართა წარმოდგენები, თუ სალამოები ილიას ფონდის გასაძლიერებლად, სხვა და სხვა დაწესებულებამ ფონდს აღუთქვა ყოველ-წლიური დახმარება. გადაათვალიერეთ იმ დროინდელი ჟურნალ-გაზეთები და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ეს დაპირებანი საკმაოდ გააძლიერებდა ილიას ფონდს. ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა დადგენილებით (1 პროც. ჯამაგირისა) წელიწადში ილია ჭავჭავაძის ფონდისთვის უნდა შესულიყო 600 მანეთი. ბათომის საბაჟოს ქართველ მოხელეთა დადგენილებით წელიწადში ილიას ფონდისთვის უნდა გადადებულიყო 136 მან. 80 კაპ., განჯის ქართველების დადგენილებით (1% ჯამაგირისა) — 341 მან. 40 კაპ., ყაგიზმანში მცხოვრებ ქართველთა დადგენილებით (1% ჯამაგირისა)— 62 მ. 52 კ., ქუთაისის სახაზინო პალატის მოხელეთა დადგენილებით (1% ჯამაგირისა)—69 მ., კავკავის ქალთა წრემ დაადგინა წლიურად იხადოს 25 მ., ჯევანშირის მაზრის ქართველ მოხელეთა დადგენილებით ილიას ფონდისათვის უნდა ეძლიათ წელიწადში 80 მ., ტფილისის ბანკის მოხელეთა დადგენილებით უნდა ეძლიათ 1% ჯამაგირისა, რაც, ჩვენის გამოანგარიშებით, დაახლოვებით 700 მანეთი გამოდის. მაშასადამე, სულ ილიას ფონდისთვის უნდა გადადებულიყო წელიწადში 2014 მ. 72 კ.

ეს ის დადგენილებებია, რომელნიც გაზეთში გამოცხადდა. რა თქმა უნდა, არსებობს კიდევ ბევრი ისეთი დადგენილებანი, რომელნიც არ გამოქვეყნებულა. სად არის დღეს ეს ფულები? რატომ ერთხელ მაინც არ მოაგონეს დადგენილებათა ავტორებმა თავიანთი ვალდებულება, რომელიც ოდესღაც ისეთის აღფრთოვანებით აღიარეს?

**შინაური.**

## მცირე შენიშვნა გაზ. „ახალ საქმეს“

(წერილი რედაქ. მიმართ)

მართალია გაზეთი „ახალი საქმე“ თელავის არჩევნების გამო გაკვრით ეხება ადგილობრივ პრესას და ეროვნულ საკითხს, მაგრამ არსებითად ჩემს კორესპონდენციაზე („სახ. გაზეთი“, № 259) იძლევა პასუხს, ამისათვის საჭიროდ ვრაცხ განვმარტო:

თელავის არჩევნებში ბრძოლა სომეხ და ქართველ ეროვნებას შეძლებულ ნაწილში სრულებით არა სწარმოებდა. ქართველებს, მათდა სავალალოდ, არჩევნებისათვის არაფერი გაუკეთებიათ. თუნდა სდომებოდათ კიდეც,—ვერც შეეძლოთ ეს, ისინი ამომრჩეველთა მხოლოდ მეხუთედს, მეექვსედს შეადგენდნენ. სამაგიეროდ სომხებს, კლასის განურჩევლად, მომზადება ძლიერ ეტყობოდათ. ამ არჩევნებში ბურჟუაზიულ პრინციპებს სრულებით ადგილი არა ჰქონდა და შეცდომაში შედის პატივცემული გაზეთი, როცა სწერს, ვაჭრების ორი ჯგუფი ერთი-მეორეს შეეტაკა და ერთმა მეორეს სძლიაო. სამწუხაროდ, ქართველი ვაჭრები თელავში ორი-სამი კაცის გარდა არ მოიპოვება.

რაც შეეხება ჩემ მიერ მოყვანილ ანტიტეზებს — გათეთრებულ სომეხ ხმოსანთა, გაშავებულ ქართველ კანდიდატთა დაპირდაპირებას, ამაზე მოვახსენებ: ეს შედარება მოვიყვანე სწორედ იმისათვის, რომ ვინც ამ თანამდებობას სავსებით შეეფერებოდნენ თავიანთის სწავლით, გამოცდილებით, წარსულით და საზოგადო საქმის ერთგულობით, სწორედ ისინი გაშავეს, **როგორც ქართველები**. მაგ. თავ.-აზნ. წინამძღოლი თ. ჭავჭავაძე, რომლის წყალობითაც თელავში დღეს პროგიმნაზია არსებობს, და საერთოდ საზოგადო საქმის ენერგია შესწევს, პოლიციის უფროსად ნამყოფი ევსტაფიევი, როგორც პოლიციის საქმეების კარგად მცოდნე, ვინაიდან ქალაქის ბევრი საქმე აქვს პოლიციასთან და მისი ბიუჯეტის დიდი ნაწილი მასზე იხარჯება, ფარმაცევტი ცისკარაშვილი, როგორც სპეციალისტი, ეხლა ქალაქის აფთიაქის გახსნის ნებართვა მოუვიდა და ამ პირის ცოდნა სარგებლობას მოუტანდა ქალაქს, მაზრის მდივანი პაატაშვილი, ქალაქის საქმეების კარგი მცოდნე, რომელმაც ოპოზიცია შექმნა ქალ. გამგეობაში და სხვა.

აი ესენი გაშავეს **მხოლოდ იმისათვის, რომ ქართველები იყვნენ** და რომ ჯობს ამოირჩიეს მენავთე, მეთევზე, მეფარჩე, მებოჭკე და სხვა; ამით ჩვენ ვისიმე პიროვნების დამცირება სრულებითაც ფიქრად არა გვაქვს; მაგ. მართალია, ამორჩეულ ხმოსან ტერ-არუთინოვს ჰქალლესს სასწავლებლის პატენტი აქვს, მაგრამ იგი მშრომელ ხალხის ინტერესების დამცველად არ გამოვა.

ამით ჩვენ გვინდა ცხად-ვყოთ, რომ ამორჩეული სომხის მოვაჭრეები ისე ვერ დაიცავენ ვერც ქალაქისა და ვერც მდაბიო მშრომელ ხალხის ინტერესებს, როგორც „გაშავებული“ ქართველები, ვინაიდან ამათში ბევრი საზოგადო საქმის გულ-შემატკივარი და მშრომელ კლასის დამცველი ურევია. არჩეულ ხმოსნებში კი ბევრი ისეთებიცაა, რომლებიც ხმოსნად ყოფილან, მათში ზოგს თავი დაუნებებია, ზოგი კი შერჩენია, ისიც იმისთვის, რომ კენჭაობის დროს სომხისთვის ეკენჭავა.

საერთოდ ამორჩეულ ხმოსანთა უმრავლესობა რომ თავის თანამდებობას არ შეეფერება, ამას არც თითონა ჰყოფენ უარს და, როგორც ქალაქში ლაპარაკობენ, თათუზოვების ერთ მონათესავე პირს განუცხადებია: ისე იყო დაყენებული საქმე, რომ (ერთი ცნობილი ცხოველი დაასახელებია) იმისთვის რომ დაედგათ ყუთი, გავიდოდაო.

რასაკვირველია, ვეთანხმები „ახალ საქმის“ რედაქციას, რომ სომხების ქცევა საერთოდ შეუფერებელი და მავნებელია, რადგანაც მათ საარჩევნო ბრძოლა ეროვნულ ნიადაგზე აწარმოეს და არა პროგრესიულ საფუძველზე.

**თ—შელი.**

## სკოლის გარეშე

სამარის სამაზრო ერობამ განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ხაზინას სკოლის გარეშე განათლებისათვის ფუ-

---

ისის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილები—აღნიშნავს, რომ მის მიერ გამოკვლეულ 37 სოფლებიდან მიწის იჯარას მიმართავდა 1884 წელში გლეხ კაცობის 35 სოფლები, ე. ი. საიჯარო მიწაზე სცხოვრობს 94,59% [8]).

როგორც ვიცით, ტფილისის გუბერნიაში გლეხ-კაცობას მიწის ნადელის ნორმა ქუთაისის გუბერნიის გლეხ-კაცობის ნადელის ნორმას აღემატებოდა; ასე რომ, მიწის სივრცის მხრით ტფილელი გლეხ-კაცობა თითქოს უკეთეს მდგომარეობაში იყო, თუმცა „Сборникъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи и способахъ хозяйства въ пяти губ. Закавк. Края“-ს გაბერილი ციფრების მნიშვნელობას და ზომას უკვე გავუშინჯეთ კბილები, მაგრამ საგულისხმიეროა, რომ ტფილისის გუბერნიის ცხოვრებაში მიწის იჯარით აღებას ფართედ აქვს ფესვები გადგმული. იჯარა ყველა სოფლებში მოდებულია. „სტატისტიკურ ცნობათა კრებული...“ გვიჩვენებს, რომ ტფილისის გუბერნიაში მიწის ქირაობას მიმართავდა 393 სოფელი, რომელთაც სულ 49,611 დესეტინა მიწა ჰქონდათ დაქირავებული, საიდანაც სახნავ-სათეს მიწების რაოდენობა უდრიდა მთელ 31,036,0 დესეტინას, ე. ი. 62 % მთელ ნაქირავებ მიწებისას.

დასავლეთ საქართველოში მიწის სივიწროვე კიდევ უფრო გაასმასებულია. დროებით-ვალდებულ გლეხების სიმრავლე ამას ნათლად მოწმობს, ასე რომ, აპრიორულად შეიძლება ითქვას, და არც შევცდებით, რომ იჯარის წესით მიწადსარგებლობა მეტის მეტად გავრცელებულია. თუ ქუთაისის მაზრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეში სოფლების 94,59% მიმართავენ მიწის იჯარას, ასეთივე მოვლენას ვხედავთ ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრებშიო; ხოლო ზოგიერთ კუთხეებში მთელი სოფლებია ისეთი, რომელთაც სახნავ-სათესი მიწა-ადგილი სრულიად არ გააჩნია და მცხოვრებთა მთელი 100% იჯარას მიმართავს. ამის ნამდვილი, კლასიკური მაგალითია, თუნდ, ოზურგეთის მაზრა—გურია.

საზოგადოდ საქართველოში ხშირად გლეხ-კაცობის არც ის ნაწილია სრულიად უზრუნველყოფილი, რომელსაც ერთი შეხედვით და ციფრების ანგარიშით მიწა-ადგილი ბლომად აქვს. ტფილისის გუბერნიაში, მაგალითად, მრავალი სოფლებია, რომ თავიანთ საკუთრება-მიწას სრულიად ვერ ამუშავებენ, რადგანაც მიწების ნაწილები (участки-угодія) ერთი-მეორეზე ისეა დაშორებული და მით დაქუცმაცებული, რომ გლეხ-კაცს ყოველივე ანგარიში და მოსაზრება ეკარგება, რომ თავისი მიწა-წყალი გამოიყენოს და დაამუშაოს. ოფიციალური ცნობა მე-92-95 წ.წ. ნუსხავდა, რომ ტფ. გუბ. 52 სოფლიდან მხოლოდ 12-ს აქვს თავიანთი მიწები ერთად თავმოყრილი. დანარჩენების მიწა-ადგილი დაფანტულია და დაქსაქსული. „თუ რამდენად დაფანტულია გლეხობის მიწის ნაჭრები—ამბობს ეს ცნობა—[1]) შეიძლება იქიდან დავინახოთ, რომ ზოგიერთ საზოგადოებებს 8-20 ვერსის მანძილის სიშორეზე აქვთ თავიანთ სოფლებიდან; ამავე დროს ერთსა და იმავ სოფლების მიწები ხშირად დაყოფილია კერძო მესაკუთრეთა მამულით, ან მთელ სოფლებით, რისთვისაც შორს მდებარე მიწა-ადგილები დაუმუშავებელი რჩება, და მაშასადამე, გლეხებისათვის ნაკლებ სასარგებლო“.

გარდა ამისა, არის აგრეთვე მრავალი ისეთი სოფლები, რომელთაც მართალია საკმაოდ აქვთ მიწა-ადგილები, მაგრამ ირიგაციის და მელიორაციის მოუწყობლობით ისინი დაუმუშავებელი რჩება. „შეძლებული“ გლეხობა აქაც იძულებულია იჯარას მიჰმართოს.

შეძლებულ და მიწა-ადგილიან გლეხ-კაცობის გვერდით, თვით-არსებობის უზრუნველსაყოფად, როგორც უკვე აღვნუსხეთ, მიწის იჯარას მიმართავს საქართველოს მრავალი წვრილ-ფეხა გლეხ-კაცობა. მაგრამ ის მასსა, რომელიც მიწის იჯარას მიმართავს, მარტო ხსენებულ ელემენტების რაოდენობით არ განისაზღვრება. მრეწველობისა და სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების განუვითარებლობით მიწაზე დამოკიდებულია და მიწად-სარგებლობის იჯარით წესს უნდა მიმართოს აგრეთვე საქართველოს საზოგადოების სრულიად უმიწა-წყლო ელემენტებმა, გლეხ-კაცობის იმ ნაწილმა, რომელსაც უმთავრესად სახნავი და სათესი, საწარმოვო მიწა-ადგილი არა აქვს. მკითხველები მიხვდებიან, რომ ჩვენს მხედველობაშია აქ საქართველოს პროლეტარიატი, ბოგანოები და ხიზნები: ხიზნები ჩვენ აქ მიწის იჯარით ამღებ ხალხად გამოგვყავს, თუმცა ხიზნების შესახებ ამ მხრივ ორი სხვა და სხვა აზრი-შეხედულობა ტრიალებს, რომელიც ხიზნებს უბრალო მოიჯარადრეებად სთვლიან, ხოლო სხვანი სპეციფიურ მოიჯარადრეებად[2]). ყოველ შემთხვევაში ხიზნები მოკლებული არიან მიწის კერძო მიწადმფლობელობას და ისინი მებატონემემამულეთა მიწა-ადგილებზე ეწევიან მეურნეობას, განსხვავება უმთავრესად იჯარის პირობებშია, რასაც ამ ჟამად ჩვენ არ ვეხებით.

ამნაირად, მიწის იჯარით ამღებთა რიცხვს ბოგანო გლეხ-კაცობა და ხიზნებიც უნდა მიემატოს. ამათი რიცხვი საქართველოში ბატონყმობის მოსპობიდან სწრაფად გაიზარდა და იზრდება. „კრებული“-ს ცნობით ტფილისის გუბ. მე-80—90 წ. წ. სრულიად უმიწა-წყლოთა რიცხვი უდრიდა 2034 სულს მამობრივ სქესისას, აქედან 1024 სული გორის მაზრაზე მოდიოდა, დანარჩენი სხვა მაზრებზე მოდის; ხიზნების რაოდენობა კიდევ მეტია და მათი რიცხვი საოცარი სისწრაფით დიდდება.[3])

საერთოდ, მიწის სივიწროვე გლეხკაცობის ყველა ელემენტებში დასავლეთ საქართველოში მკვლევართათვის იმდენად ნათელია, რომ ზოგიერთნი სტატისტიკურ ცნობების მოყვანას საჭიროდ არ სცნობენ. იმასაც ყველა აღიარებს, რომ იჯარა დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში ფრიად არის გავრცელებული. ასე ბ. პსარევი აღიარებს[4]), რომ იჯარას ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრებში მიმართავენ არა თუ მარტო შეუძლონი და უმიწა-წყლონი, არამედ სოფლის თვით გამოჩენილი წურბელები, როგორც, მაგ., შორაპნის მაზრაში[1]).

რამდენადაც მთელ ამერეთ-იმერეთში მიწის სივიწროვე გაასმასებულია და იჯარას ფართედ აქვს ფეხი მოკიდებული, იმდენად ეროვნული კეთილდღეობა, მხარის მწარმოებელ ძალების განვითარება და კულტურის სათანადო სიმაღლეზე დაყენება იჯარის პირობებზე დიდად დამოკიდებული რჩება, რადგან მიწა, რომელიც საქართველოს უმთავრეს „produitnet“-ს[2]) შეადგენს, წარმოებაში მოდის უმთავრესად იჯარის წესით. რომ მიწადსარგებლობის ფორმას, წესს დიდი მნიშვნელობა აქვს სიმდიდრის გამოჭედვის საქმეში, ეს ყველასათვის ცხადია; ამიტომ ჩვენი საზოგადოების ყურადღება უნდა იქმნას მიპყრობილი მიწად-სარგებლობის ამ წესის გაუმჯობესობაზე, სათანადო პირობებში ჩაყენებაზე.

რადგან იჯარაში ჩვენი საზოგადოების ფრიად დიდი ნაწილია დაინტერესებული, ამიტომაც იჯარით მიწების აღება დიდ ბრძოლისა და ვაი ვაგლახს იწვევს საზოგადოებათა მდიდარ-ღარიბებ შორის. ილია ხონელი ამბობს: „მცხოვრებთა სიმრავლით და თავისუფალ მიწების სიმცირით მიწაზე ყველგან დიდი მოთხოვნილებაა. მისახვედრია ამიტომ, რომ მიწის დამქირავებელთა შორის არსებობს ძლიერი მეტოქეობა, საიდანაც გამარჯვებული გამოდის უფრო მდიდარი სახლის პატრონები, რომელთაც მიწა მეურნეობის გასაფართოვებლად და სარგებლის მისაღებად სჭირია. უხალონებელესი და საზოგადოდ საუკეთესო მიწები მდიდარ-დამქირავებელთ უვარდება ხელში, ღარიბები კი იძულებულნი არიან უარეს მიწის ნაჭრებს მოჰკიდონ ხელი და ამავე დროს უფრო შორს მდებარეს თავიანთ სოფლებიდან“[3]).

ხსენებულ მწვავე პირობებით მემამულენი მეტის-მეტად სარგებლობენ, საიჯარო ფასს მაღლა სწევენ. კორესპონდენტები გვაუწყებენ, რომ ახალი მებატონეები, ბანკები თავის მამულზე 400% გაადიდეს საიჯარო გადასახადიო; ბანკის დაუკითხავად ვინმემ რომ მიწა დაამუშაოს, ათ მანეთით დაახჯარიმებენ დღიურ სამუშევარზეო[4]). გურიის მომრიგებელი შუამავალი ნიკო თაყაიშვილი კი „ახალ გზა“-ში ნუსხავდა, რომ ნემამულე (გურიელი) წინასწარ შეკრულ პირობას იჯარის ზომაზე მოსავალის მომკის დროს არღვევს და მისთვის სასარგებლო პირობით აიძულებს მუშა-გლეხს მემამულეს დაკმაყოფილებას. აურაცხელ მაგალითების მოყვანა შესაძლოა ამის დასახასიათებლად, მაგრამ წერილი გაგვიგრძელდა, ვესწრაფით მხოლოდ აღვნუსხოთ, რომ საზოგადოების უმდაბლესი ნაწილი იჯარით, იჯარაში მეტოქეობით, საშინელ ყოფაში ვარდება, თავიანთ შრომას ველარ ამართლებს და ჯაფის ნაყოფი მის კერძო თუ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს ველარ აკმაყოფილებს, ოჯახი ღარიბდება, საწარმოვო იარაღებს მწარმოებელნი ველარ იძენენ, შრომის ნაყოფიერობა კლებულობს და მით მთელი საზოგადოებრივი წარმოებაც ეცემა...

**თევდ. ღლონტი.**

[8]) მარკოვъ „Отношенія обществъ..“ გ. 235.

[1]) იხ. „Сборникъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи и способахъ хозяйства“...

[2]) იხ. „Матеріалы“... ტომი I, გვ. 383—430, აგრეთვე ვერმიშევის „Хизаны и хизанство“ იქვე და სხვები.

[3]) თანამედროვე სურათი სრულიად უმიწა-წყლოთა, ბურუსშია გახვეული. ერთ პირისაგან შეუძლებელია მათი მდგომარეობის გარკვევა მთელ საქართველოში. ეს უნდა მოხდეს მთელი ჩვენი ცნოვრების ხელ-ახლად გამოკვლევით, რაიცა მოითხოვს კოლექტიურ შრომას და იმდენ ხარჯებს, რომლის ატანა ჩვენს ინტელექტუალურ ძალებს არ შეუძლიათ. ამ საქმის შესრულება უნდა იკისროს კავკასიის სტატისტიკურმა კომიტეტმა საზოგადოებრივ ძალების დახმარებით. მაგრამ ეს კითხვა რთულია. საჭირო კია ამ კითხვის აღძვრა.

[4]) იხ. Псаревъ „Отношеніе общ. госуд. кр. к. землямъ застн. вл. „Сводъ матеріаловъ“... ტ. V. ნაწილი II.

[1]) ბარვიცი, გვ. 75.

[2]) მე-18 საუკუნის ფრანგ-ეკონომისტების, ფიზიოკრატების ცნობილი გამოთქმაა, ნიშნავს წმინდა შემოსავალს.

[3]) იხ. И. Хонели—Бахтадзе «Матеріалы...» ტომი V გვ. 197.

[4]) იხ. მარტის პირველ ნახევრის ერთერთი კორესპონდენცია სხვ. ჩოხატაურიდან „სახალხო გაზეთში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გადაედო. სამინისტრომ ამ აზრის განხორციელება შესაძლოდა სცნო და ყოველ წლიურად 4,000 მან. გადასდო. ფული სახალხო კითხვებზე დაიხარჯება.

ხარკოვის გუბერნიაში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად საგუბერნიო კრებამ 50,000 წიგნაკი და ფურცელი გამოსცა. ეს გამოცემანი სოფლის საქმეთა სხვა და სხვა კითხვებს შეეხება.

კიშინევის ქალაქის საბჭომ დაადგინა, ყოველ ხელოსანს, ვინც კი 17 წლისაზე ნაკლებია ყოველ დღე ჩვეულებრივ დასვენების გარდა 3 საათი დრო მიეცეს რომ სკოლებში სასწავლოდ შეეძლოს, დილის 8—11 საათამდე.

სიმფეროპოლის ქალაქის საბჭომ დაადგინა, მოსკოვის პროფესორებს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნოთ. გუბერნატორმა ამაზე პროტესტი განაცხადა.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლების გახსნას ამ რიგად აპირებენ: ვორონეჟში—უმაღლესი საგრონომიო ინსტიტუტი. ტომსკი—საგრონომიო განყოფილება ადგილობრივ პოლიტეხნიკუმისა. ყაზანი — აგრონომიული ფაკულტეტი უნივერსიტეტში. სამარა—აგრონომიული განყოფილება მომავალ პოლიტეხნიკუმში. ეკატერინოსლავი—აგრონომიული ინსტიტუტი. ეკატერინბურგი—აგრონომიული და სატყეო განყოფილება მომავალ პოლიტეხნიკუმში. ოდესა — აგრონომიული ფაკულტეტი უნივერსიტეტში.

კიევის პოლიტეხნიკუმის საპროფესორო კრიზისი იზრდება. კიდევ რამდენიმე პროფესორმა და პრივატ-დოცენტმა გადასწყვიტა თანამდებობიდან გადადგომა.

აღმოსავლეთ ენათა ლაზარევის ინსტიტუტის ინსპექტორი ტიილოვი მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით სამსახურიდან დაითხოვეს. ამავე ინსტიტუტის დირექტორი პროფ. მილლერი თანამდებობას თავს ანებებს.

დონის პოლიტეხნიკუმის პროფესორთა საბჭომ სტუდენტებს გამოუცხადა: თუ სწავლას ამ მოკლე ხანში არ დაიწყებთ პირველ კურსის ყველა მოსწავლეებს დაგითხოვთო და გაისად იმ შემთხვევაში მიგიღებთ, თუ თავისუფალი ადგილები დაგვრჩებაო.

კიევში გუბერნატორის განკარგულებით 7 დღით დაატუსაღეს პოდილიის ზედამხედველი. მან ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთ შეურაცყოფა მიაყენა იმ დროს, როდესაც ქალები, ლექციის შემდეგ, აუდიტორიაში ხმა-მაღლა ლაპარაკობდნენ.

## ონისიმე მიხეილის ძე ჯიბლაძის ხსოვნას

ყველამ კარგად იცის, რა ღარიბია ჩვენი სოფელი ცოტად თუ ბევრად ინტელიგენტურ ძალებით; მომეტებული წილი მათგანი ან სრულიად გაურბის სოფელს ან და უკეთეს შემთხვევაში უმოქმედებაში ატარებს დროს. ონისიმე ჯიბლაძე ამ მხრით გამონაკლისს შეადგენდა. იგი მსახურობდა ს. გურჯაანის საავადმყოფოს უფროს ფერშლად და ადგილობრივ პატარა ინტელიგენტთა ჯგუფში საპატიო ალაგი ეჭირა. ონისიმე ჯიბლაძის სიკვდილი დიდი დანაკლისია არა მარტო გურჯაანელ პატარა ინტელიგენტთა წრისთვის, არამედ მთელი სოფლისთვის, სადაც მას ხალხში დიდი სიყვარული ჰქონდა მოპოვებული და უეჭველია დიდხანსაც არ დაივიწყებენ თავიანთ მოკეთე-მოპირნახულე ონისიმეს ხსოვნას.

მშვიდობით ჩემო, გულ-წრფელო მომაგევ! **მრთველი.**

## მოწერილი ამბები

**ხევსურეთი.** არც ერთი მხარე საქართველოში არ არის ისე გაუნათლებელი და ბნელი, როგორც ხევსურეთი, რადგანაც შეზღუდობისა გამო ძალიან მოწყვეტილი არის ქალაქ-სოფლებზე. ზამთარში ხომ იკვრის გზა დიდი თოვლისა და ზვავებისაგან, მაგრამ ზაფხულობითაც ძნელია სიარული არაგვის პირას კაჟრულ ვიწრო ბილიკზე, სადაც ზევრგან ორი ცხენიანი მგზავრი ვერ უქცევა ერთმანეთს გზას.

ერთი რიგიანი საურმე გზის გაკეთება ადვილად შეიძლებოდა, ხალხიც მოწადინებული არის, თუ მთავრობა იარაღით დაეხმარებოდა, მაგრამ არავინ არის პატრონი—მოთავე, რომ მოინდომოს და აასრულოს ეს კეთილი საქმე. წელს ძალიან მძიმე ზამთარი იყო, თუმცა თოვლი სხვა დროსაც უფრო მეტი ყოფილა, მაგრამ წელს დიდი ყინვები იყო, თოვლი გვიან მოვიდა, წყლები გაიყინა.

ხევსურეთში სულ, არაგვის ხეობაში, ათას კომლზე მეტი არ არის. არაგვის მთის აქეთ შვიდასი კომლი არის და არაგვის მთის სათავეს იქით სამასი კომლი. მივარდნილ მხარეში ცრუ-მორწმუნოება არის ძალიან გავრცელებული. ეს ერთხელ განთქმული ხალხი ეხლა ძალიან დაბლა სდგას გონებით, ზნეობით და ფიზიკურადაც კი, რადგანაც დიდს ნაკლულევანებაში არიან მიწის სიღატაკისა და მოუსავლობის გამო. ამასთანავე არ არის მთელ ხევსურეთში არც ერთი სასწავლებელი, რომელსაც შეეძლოს რაიმე სინათლის შეტანა ცხოვრებაში...

## უცხოეთი

**ალბანეთი**

27 მარტს ერთი წლიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ალბანელებისა და ოსმალეთის ჯარს პირველი შეტაკება მოუხდა.

წელს აჯანყებამ ალბანეთის შუა გულში იფეთქა. რუსეულ ჩამომავლობის მაჰმადიანები მშვიდად არიან და არაფერს არ აპირებენ.

ოსმალთა წინააღმდეგ აღელვება არა მშვიდდება. პირიქით, კოსოვოსა და პრიზრენის მიდამოების ალბანელებს ოსმალებისადმი სიძულვილი უდგვილოთ გულში და შურს იძიებენ. ესენი ჩერნოგორიის საზღვრებზე დაწყებულ ამბების ბოლოს უცდიან. თუ იქ საქმე კარგად წავა, მაშინ ესენიც ხელს კაპიტონდებენ. მხოლოდ ამ აჯანყებას, მარშანდლისგით მოქმედების მთლიანი გეგმა არა აქვს. შემოდგომაზე და ზამთარში იარაღი ერთგულად შემოჰქონდათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მარშანდელი აჯანყება მთლიანი არ იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ალბანელებს ბრძოლისათვის ეხლა საკმარისი იარაღი არ აქვთ. მთავრობას ჰსურს მაჰმადიან და ქრისტიან ალბანელებს შორის მტრობა ჩამოაგდოს და მარშანდელივით მაჰმადიანებს წელსაც იარაღს ურიგებს. ამ ნიადაგზე წელს სიყურადღებო და მოულოდნელი ამბები მოხდა. მაგ. 24 თებერვალს სოფ. ქელეცის მცხოვრებთ მაჰმადიან-ალბანელებს 600 მაუზერის სისტემას თოფი დაურიგა. მეორე დღესვე ეს შეიარაღებული ხალხით ჩერნოგორიაში გადავიდა.

პოდგორის მახლობლად აჯანყებულთ და ოსმალთა ჯარს შეტაკება მოუხდა; თუმცა ოსმალებს ზარბაზნები ჰქონდათ, მაგრამ აჯანყებულებმა მთავრობის ჯარები მაინც დაამარცხეს.

წელს მხოლოდ კათოლიკენი აჯანყდნენ ის თემები, რომელნიც მაჰმადიანებს არ მიემხრნენ აჯანყებას თანაგრძნობით ეკიდებიან. ალბანელთა ბელადების კრება, რომელიც დეზანის მიდამოებში მოხდა, გადასწყვიტა, მთავრობას ნურაფერს დაუთმობთო არ დავთანხმდეთ, რომ სამხედრო სამსახური სავალდებულო იყოს, ჩურც ხარჯს მივცემთო და სხვა.

იპეკსა და ბერანეში (ჩერნოგორია) ტელეგრაფი აღარ მუშაობს.

ამ აჯანყების ცუდი მხარე მხოლოდ ისაა, რომ იგი მთლიანი არ არის. აჯანყდა მხოლოდ ნაწილი სკუტარიის დაბლობების 5 მის მახლობლად მდებარე ხეობათა მცხოვრებნი, თურდუთ-ფამას, თუ სიჩქარით და ენერგიით იმუშავა, ადვილად შეუძლიან ამ აჯანყების ჩაქრობა.

## დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფთა სააგენტოსაგან)

31 მარტი.

საზღვარ-გარეთ.

**თავრიზი.** ოსმალეთის ელჩსა და მინისტრებსა გაზ. „თავრიზი" ჰკიცხავს, ოსმალეთის ჯარის მოქმედებას ადერბეიჯანში ჰკიცხავენ.

**მადრიდი.** მრავალი ვასალი დედა-ქალაქში შეიკრიბა, რათა ახალი რეგენტი ამოირჩიონ. სამხედრო მინისტრი მთავრობას დროებით ჩიუდკა სათავეში.

**ნიუ იორკი.** 30 მარტს საშინელი ქარიშხალი იყო. ქარიშხალმა კანზას, მისსურის და ოკლაჰომას შტატებში 13 კაცი მოჰკლა, ბევრი დაასახიჩრა, მრავალი სოფელი დააქცია.

**ტოკიო.** იმ ამბავს, რომ რუსეთის გაჭრობა-მრეწველობის მინისტრი რუსეთ-იაპონურ საზოგადოებას აარსებსო, აქაური გაზეთები თანაგრძნობით შეეგებნენ.

- სოშიგ რის უბანში, ნანგრევების ქვეშ 7 ქალის გვამი იპოვეს, ქალები ბატონის საგუშაგოში ჰყოლია დამწყვდეული.

**ათინა.** ათინელი სააგენტო იუწყება სმირნაში ბერძნულ საქონელზე გამოცხადებული ბოიკოტი ძლიერდება. ბრბო საქონლის გაგზავნას ხელს უშლის. ბერძნების გემები სმირნაში არ შედიან. ბრბომ ბერძნულ გაზეთების ცენტრალური ბიურო აიკლო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იტყობინება: ინგლისმა საფრანგეთს შეუთვალა, მაროკოში რას აპირებო. ინგლისელთა უმაღლეს წრეებში ჰფიქრობენ, მაროკოს მდგომარეობა არც ისე კრიტიკულია, როგორც ზოგიერთსა ჰგონია.

**რ უ ს ე თ ი**

**კიევი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რათა ქალაქის მთელ მეურნეობას რევიზია გაუწიონ.

**კავკავი.** ქალაქის არსებობის 50 წლის თავს დღესასწაულობენ. იმპერატორ ალექსანდრე II, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის, გრაფ ლორის მელიქოვის და ქალაქის პირველ თავის ლებედევის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს.

**პეტერბურგი.** ტკაჩევის მაგივრად სათათბიროში პსკოვის გუბერნიის ახალ დეპუტატის არჩევნები 10 ივნისისათვის დაინიშნა.

**კავკავი.** დღესასწაულისა გამო ქალაქის საბჭომ 1000 მან. გადასდო; თერგის ჯარმა 3000 მან. ამ ფულით იმპერატორ ალექსანდრე II-ეს ძეგლი უნდა დასდგან.

**ბრესტი.** გემთა ამშენებელ მუშების გაფიცვა დასრულდა.

**პეტერბურგი** 30 მარტს სათათბიროში გარემოთა დაუსწრებლად კრება მოხდა. კრებამ ჯარში ახლად გაწვეულთა შესახებ კანონ პროექტი, ვიაზიგინისა და ზამისლოვსკის შესწორებით მიიღო.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** 31 მარტს ქართულ დრამატიულ დასის მსახიობებმა წარმოადგინეს ცნობილი დრამა „სამშობლო". წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქ-ნი კარგარეთელი (ქეთევანი), სოსო ივანიძე (სვიმონ ლეონიძე), ი. ზარდალიშვილი (ლევან. ხიმშიაშვილი) და გ. არადელი (მაჰი).

ბილეთების ფასი შესამჩნევად დაკლებული იყო, მაგრამ თეატრში ხალხი ერთობ მცირე იყო, რაც მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ წარმოდგენის დღეს შუადღიდანვე წვიმა დაიწყო და ნაშუაღამევამდე არ შეწყვეტილა.

**ქუთაისი.** პარასკევს, 1 აპრილს ქუთაისის დრამატიულმა დასმა ითამაშა პირველად ქართულ სცენაზე **ალ. შოთ**ტელის ახალი პიესა „საშინელი ბრძოლა". მონაწილეობა მიიღო მთელმა დასმა და ვალერიან გუნიამ.—შემდეგი წარმოდგენები იქნება 12, 16 და 17 აპრილს. რეპერტუარი სადღესასწაულოა. „ღალატი", „შერლოკ ხოლმსი" და „მტარვალი".—კვირას, 3 აპრილს, ქალაქის თეატრში დანიშნულია ლიტერატურული გასამართლება „ნეხლიუდოვისა", ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „აღდგომა"-ს გმირისა; მონაწილეობს ბევრი ტფილისელი და ქუთათური ლიტერატორები.

**ვახო ურუშაძე.**

**დ. ჭიათურა.** კვირას, 27 მარტს, აქაური დრამატიული საზოგადოების სცენის მოყვარეთა დასის მიერ ალ. წუწუნავას რეჟისორობით წარმოადგინეს „ქართველი დედა", ისტორიული დრამა ა. ცაგარლისა. პიესამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთებმა როლები არ იცოდა. პირველ მოქმედებაში კარგი იყო ქ-ნი ევ. წუწუნავა, მარინეს როლში. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი მ. ქილარჯიშვილი ლეილას როლში. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი ს. ტარუაშვილი უსუფ-ფაშის როლში. მირიან მწარიშვილი ვერ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ლეკი ომარ-ხანი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სცენიც მოყვარე კომედიებსა და დრამებში ერთნაირს შთაბეჭდილებას ახდენს თითქოს სასცენო ხელოვნების ამ ორ დარგს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდესო. **ხერგელი.**


## განცხადებანი

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეგტაბეგოვი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**თ. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წამლობა

**კონსულტატიურად**

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1168—8)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., ზაზებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—80)

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

**ჭრა-კერვის ●წიგნი●**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.
ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—26)

**ისარგებლეთ შემთხვევით**

ხაზურთალოსა და კადეტთა კორპუსის დაწყებულ შენობის მახლობლად იყიდება ადგილები ნაჭრობით ოთხკუთხი საჟენი 25 კ.—60 კაპეიკამდე; ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილ, ერთის წლის ვადით. იკითხეთ წიგნის მაღაზიაში «ახალი სიტყვა» („Новая рѣчь"), გოლოვინის პროსპექტი, საზაფხულო თეატრის პირდაპირ. (3—540—2)

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ◀ ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**დაეჩარეთ დღესასწაულებისათვის**

**სააღდგომოდ შეიძინოთ გრამოფონები და ფირფიტები**

სააქციონერო საზოგადოება

**გრამოფონი**

გოლოვინის პროსპ. № 9

**ყოვლად სრული სამუსიკო საკრავია, თუ ზედა აქვს მსოფლიოდ ცნობილი**

საქარხნო TRADE MARK მარკა

მწერავი ანგელოსი

**მღერის ლაპარაკობს იცინის**

ამხიარულებს, ართობს და მუსიკის სიყვარულს აღვიძებს.

მიღებულია დიდ-ძალი აპარატები, უკანასკნელ გაუმჯობესებულ კონსტრუქციისა, და ფირფიტები მთელ დიდ-მიწის ზურგზე ყველა ენაზე ნამღერი.

კატალოგები უფასოდ მოითხოვეთ.

(5-1206-1)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების ● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა). ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)**

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

**წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.**

და **ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ.—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა


მთავრობის კუნძული სტამბა „ხ ო რ ა ვ ა ნ ი"

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.